



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #61

2015 წლის 30 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების, ბულდოზერ „SHANTUI-SD22“-ის, სახელმწიფო ნომერი AB 891 A შ.პ.ს. „ტექსერვისისათვის“ უსასყიდლოდ, სარგებლობაში (თხოვების ფორმით) გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, ბულდოზერი „SHANTUI-SD22“ სახელმწიფო ნომერი AB 891 A, სარგებლობაში, თხოვების ფორმით გადასცეს შ.პ.ს. „ტექსერვისს“.

2. განკარგულება გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი